ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 7-31

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146^1-ე მუხლის, 209^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილების, 234^1 მუხლის, 239-ე მუხლის მე-14 და 27-ე ნაწილების, 240-ე მუხლის, 243-ე მუხლის მე-2^1 ნაწილის, 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლისა, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016088) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები;

1.შევიდეს ცვლილება დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის (შემდგომში – სამსახური) დებულებით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე)."

2.შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„ა) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 146^1-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი'' (დანართის №1)“.

მუხლი 2.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი N 1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები;

1.შევიდეს ცვლილება დანართი N 1-ის სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“

2. შევიდეს ცვლილება დანართი N 1-ის მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. საჯარო მოხელე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით,146^1-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

3. შევიდეს ცვლილება დანართი N 1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 55^5 მუხლით, 146^1-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის –

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოხელემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ, საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს."

4. შევიდეს ცვლილება დანართი N 1-ის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„2.საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5, 146^1-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 და 152^3 მუხლებით და 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ საჯარო მოხელეზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა ხორციელდება სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის პასუხისმგებელი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ."

5. შევიდეს ცვლილება დანართი N 1-ის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„3. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 146^1-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში" (შემდგომში – ჟურნალი).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართადარღვევის გამოვლენასა და აღკვეთაზე, აგრეთვე სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის აუცილებლობით, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 209[3] მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად 146[1] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი. *(26.12.2014 N 2998 ამოქმედდა 2015 წლის 15 იანვრიდან).*

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექის 146[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა ოქმს - საჯარიმო ქვითარს შეადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი მოსამსახურე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146[1] მუხლის მიხედვით პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“ ხოლო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - თბილისის მერია) სტრუქტურული ერთეულს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს ზედამხედველობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - თბილისი) ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და ქალაქ

თბილისის საკრებულოს მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვაზე.“, ხოლო, ამავე დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნტის შესაბამისად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სამსახურის ფუნქციებია: უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება“. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექის 146^1 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევაზე სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.“

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.